



ცესკო

საპარტევლო საარჩევნო
ადმინისტრაცია

დამხმარე სახელმძღვანელო კენიდანციური დაწესებულების თანამშრომლებისთვის

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს –
საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი
თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნები



საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

დამხმარე სახელმძღვანელო კენიძენსიური
დანესებულების თანამშრომლებისთვის

წარმოდგენილი დამხმარე სახელმძღვანელო მომზადებულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის 25 აგვისტოს N41/2017 დადგენილებისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 13 ივლისის N75/2012 განკარგულების მიხედვით და განკუთვნილია მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის გამგებლის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებისთვის პენიტენციური სისტემის წარმომადგენელთა სასწავლო მიზნებისთვის. არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციების სრული სახით გაცნობის მიზნით, იხილეთ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტები.

სარჩევი

თავი I. არჩევნაში მონაწილეობის უფლება და ხმის მიცემის უფლების მათა ბრალდასმულთა/მსჯავრდებულთა ინფორმირების წესი	7
არჩევნებში მონაწილეობის უფლება	8
ხმის მიცემის უფლების მქონე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ინფორმირების წესი და პირობები	8
 თავი II. საარჩევნო უბნის შექმნა, კანდიდატის შერჩევის მოწყობა	11
ამომრჩეველთა სპეციალური სიის ფორმირების წესი	12
საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება	13
საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლების მქონე პირები	14
პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლის წესი	15
საარჩევნო დოკუმენტაციის მიღება და კენჭისყრის შენობის მოწყობა	16

თავი III. საარჩევნო უბნის გახსნა, კენჭისყრის დაწყებამდე

ჩასატარებელი პროცედურები 20

საარჩევნო უბნის გახსნა 21

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები 21

დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა და მასობრივი

ინფორმაციის საშუალების წარმომადგენლის უფლებრივი მდგომარეობა 22

საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები 23

თავი IV. კენჭისყრის პროცესი 31

კენჭისყრის ჩატარება 32

კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგის დაცვა 38

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემა 39

საარჩევნო უბნის დახურვა 40

თავი I

არჩევნებში მონაწილეობის უფლება
და ხმის მიცემის უფლების მეორე
ბრალდებადებულთა/მსჯავრდებულთა
ინფორმირების წესი

არჩევნაბში მონაწილეობის უფლება

საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, პლებისციტში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენის საფუძველზე მოთავსებულია პენიტენციურ დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული¹, აგრეთვე მხარდაჭერის მიმღებს, თუ იგი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოთავსებულია სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

ხმის მიცემის უფლების მქონე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ინფორმირების წესი და პირობები

პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც ხმის მიცემის უფლების მქონე ბრალდებულები/მსჯავრდებულები არიან მოთავსებულნი, უნდა განხორციელდეს მათი ინფორმირება:

- ▶ კენჭისყრის დღის პროცედურებთან დაკავშირებით, ბუკლეტებისა და ფლაერების საშუალებით (კენჭისყრის ფარულობა, ბიულეტენების შევსების წესი, ხმის მიცემის წესი);
- ▶ არჩევნებში მონაწილე პარტიების/საარჩევნო ბლოკებისა და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი თვითმმართველი ქალაქების/თემების მერობის კანდიდატების შესახებ (მათი რიგითი ნომრები და წარმდგენი სუბიექტები);
- ▶ არჩევნებში მონაწილე პარტიების/საარჩევნო ბლოკებისა და მათ მიერ პარტიულ სიებში წარდგენილ კანდიდატთა შესახებ (რიგითი ნომრები და პარტიული სიების შემადგენლობა);

1 ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი – მუხლი 12.2)

- ▶ არჩევნებში მონაწილე საინიციატივო ჯგუფებისა და პარტიების/საარჩევნო ბლოკების მიერ წარდგენილ მაჟორიტარ კანდიდატთა შესახებ (რიგითი ნომრები და წარმდგენი სუბიექტები);

ინფორმაციის მიწოდების უზრუნველსაყოფად პენიტენციურ დაწესებულებაში უნდა განთავსდეს საარჩევნო სუბიექტების ბეჭდვითი სააგიტაციო მასალები/საარჩევნო პლაკატები და საარჩევნო პროგრამები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პენიტენციურ დაწესებულებათა ადმინისტრაციებმა კენჭისყრის დღემდე 8 დღით ადრე უნდა გამოყონ ადგილები ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების/ფლაიერების/ბუკლეტების განსათავსებლად.

ადგილები უნდა იყოს გამოყოფილი იმგვარად, რომ ყველა საარჩევნო სუბიექტს ჰქონდეს თანაბარი პირობები. კერძოდ, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე თითოეული პარტიისა და საარჩევნო ბლოკისთვის უნდა გამოიყოს ადგილები თითო ცალი A3 და A4 ზომის ფორმატის სააგიტაციო მასალის განსათავსებლად, ხოლო თითოეული მაჟორიტარი/მერობის კანდიდატისათვის – ერთი ცალი A3 ზომის ფორმატის სააგიტაციო მასალის განსათავსებლად.

გამოყოფილი ადგილები უნდა უზრუნველყოფდეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საარჩევნო უფლების მქონე ყველა ბრალდებულის/მსჯავრდებულისთვის.

პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციების მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით, კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-10 დღისა იქმნება მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგენლობა და უფლებამოსილება განისაზღვრება ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით. პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრაციები ვალდებული არიან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებითა და დაცვით დაუშვან მათ მიერ დაქვემდებარებულ დაწესებულებებში შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები/წევრები/მონიტორინგის ჯგუფის წევრები, მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად.

სააგიტაციო მასალებისა და ინფორმაციის განთავსება

პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც იხსნება საარჩევნო უბანი, საარჩევნო სუბიექტებს სააგიტაციო მასალებისა და ინფორმაციის განთავსება შეუძლიათ ამ დაწესებულებებში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიებზე მასალების გადაცემის გზით. მასალების გადაცემა შესაძლებელია კენჭისყრამდე არა უადრეს მე-8 დღიდან.

ყურადღება

საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის გადაცემული მასალების გამოყოფილ ადგილას განთავსებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიებს.

პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც საარჩევნო უბანი არ იხსნება, საარჩევნო სუბიექტებს სააგიტაციო მასალებისა და ინფორმაციის განთავსება შეუძლიათ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებში მასალების წარდგენის გზით. მასალების გადაცემა შესაძლებელია კენჭისყრამდე არა უადრეს მე-8 დღიდან. სააგიტაციო მასალებისა და ინფორმაციის წარდგენიდან არა უგვიანეს 2 დღისა, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, პირადად განათავსებს მათ პენიტენციურ დაწესებულებაში გამოყოფილ ადგილებზე ან/და სტენდებზე.

ყურადღება

საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის გადაცემული მასალების გამოყოფილ ადგილას განთავსებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საოლქო საარჩევნო კომისიებს.

პენიტენციურ დაწესებულებებში კენჭისყრის დღემდე 8 დღით ადრე განთავსებული ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების ჩამოხსნა შესაბამისმა საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებმა უნდა უზრუნველყონ არაუგვიანეს კენჭისყრის წინა დღის ჩათვლით.

თავი II

საარჩევნო უბნის შექმნა,
კენჭისყრის შენობის მოწყობა

ამომრჩეველთა სპეციალური სიის ფორმირების წესი

(საარჩევნო კოდექსი – მუხლი 32.1.გ; 32.3,5)

ამომრჩევლები, რომლებიც კენჭისყრის დღეს იმყოფებიან პატიმრობაში და სარგებლობენ ხმის მიცემის უფლებით, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას შეჰყავს ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში. ამ პირთა სიას ადგენს შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელი და კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-4 დღისა და გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას, ხოლო იმ ამომრჩეველთა სიას, რომლებიც კენჭისყრის დღეს იმყოფებიან ადმინისტრაციულ პატიმრობაში, ადგენს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი და კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-4 დღისა გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

სპეციალურ სიაში, ასევე შედიან საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის, პენიტენციური დეპარტამენტისა და პენიტენციური დაწესებულების ის მოსამსახურეები, რომელთა სამსახურის პირობები ან ჯანმრთელობის მდგომარეობა მოითხოვს არჩევნების დღეს მათ ყოფნას რეგისტრაციის ადგილისაგან განსხვავებულ მისამართზე, რომელიც სხვა საარჩევნო ოლქს მიეკუთვნება, ასევე სამხედრო მოსამსახურეები და სპეციალური წოდების მქონე პირები (საოლქო საარჩევნო კომისიას ამ პირთა სიას გადასცემს შესაბამისი დაწესებულებების ხელმძღვანელები კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 25-ე დღისა, სამხედრო სამსახურში განწვევის შედეგების გათვალისწინებით – კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-6 დღისა).

მიღებული მონაცემების საფუძველზე, საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-3 დღისა ადგენს და განკარგულებით ამტკიცებს ამომრჩეველთა სპეციალურ სიას და დაუყოვნებლივ

გადასცემს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას (პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიას ან საუბნო საარჩევნო კომისიას, რომლის საზღვრებშიც მდებარეობს პენიტენციური დაწესებულება, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ დაწესებულებაში არ იხსნება საარჩევნო უბანი).

საარჩევნო უბნის შექმნა პენიტენციურ დაწესებულებაში

(საარჩევნო კოდექსი – მუხლი 23.4)

გამონაკლის შემთხვევაში პენიტენციურ დაწესებულებაში, რომელშიც 50-ზე მეტი ამომრჩეველია კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-15 დღისა შეიძლება შეიქმნას საარჩევნო უბანი. ხოლო პენიტენციურ დაწესებულებაში, რომელშიც ამომრჩეველთა რაოდენობა 50-ს არ აღემატება საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით მიემარება უახლოეს საარჩევნო უბანს.

საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება

პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ინიშნებიან/აირჩევიან არჩევნების დღემდე არა უადრეს მე-10 და არა უგვიანეს მე-9 დღისა *(საარჩევნო კოდექსი – მუხლი 25.4)*

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილება იწყება საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი შეკრების დღეს და წყდება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე. პირველი სხდომა იმართება კომისიის შექმნიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა *(საარჩევნო კოდექსი – მუხლი 25.14; 25.21).*

საუბნო საარჩევნო კომისია შედგება 13 წევრისაგან (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 24.1):

- ▶ 6 წევრს კონკურსის საფუძველზე ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია;
- ▶ 7 წევრს ნიშნავენ პარტიები.

საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლების მომთაბრები

(საარჩევნო კოდექსი – მუხლი 8.15)

საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომა ღიაა. საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ:

- ▶ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს;
- ▶ ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრებს/წარმომადგენლებს;
- ▶ შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელს (ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტის არაუმეტეს 1 წარმომადგენელს);
- ▶ რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლებს (ერთი და იმავე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის არაუმეტეს 1 დამკვირვებელს);
- ▶ რეგისტრირებული საერთაშორისო ორგანიზაციის დამკვირვებლებს (ერთი და იმავე საერთაშორისო ორგანიზაციის არაუმეტეს 2 დამკვირვებელს (მათ შესაძლოა ახლდეთ თარჯიმანი);
- ▶ მედიის აკრედიტებულ წარმომადგენლებს (ერთი და იმავე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების არაუმეტეს 3 წარმომადგენელს).

საარჩევნო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლის და წესრიგის დარღვევის შემთხვევაში დამრღვევის (მათ შორის, კომისიის წევრის) საარჩევნო კომისიის სხდომიდან გაძევების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს საარჩევნო კომისია, რაც აღინიშნება სხდომის ოქმში. დამრღვევის საარჩევნო კომისიის სხდომიდან გაძევება გულისხმობს მის საარჩევნო კომისიის შენობიდან/კენჭისყრის შენობიდან გაძევებასაც.

კანიტენციურ დაწესებულებაში შესვლის წესი

პენიტენციურ დაწესებულებაში შესასვლელად საარჩევნო კომისიის წევრები, დამკვირვებლები, მედიის წარმომადგენლები, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლები და სხვა უფლებამოსილი პირები საჭიროებენ სპეციალურ საშვს, რომელსაც ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის გასცემს დაწესებულების დირექტორი ან დირექტორის მოადგილე. დაწესებულების ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია კონკრეტული პირისთვის გაიცეს მრავალჯერადი ვადიანი სპეციალური საშვი. მრავალჯერად საშვს გასცემს დაწესებულების დირექტორი. დაწესებულებაში შემსვლელი პირები გადიან შემოწმება/დათვალიერებას კანონმდებლობის შესაბამისად.

პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლისთვის საარჩევნო კომისიის წევრმა, დამკვირვებელმა, მედიის წარმომადგენელმა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელმა და სხვა უფლებამოსილმა პირმა გამშვებ პუნქტზე გუშაგს უნდა წარუდგინოს სპეციალური საშვი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (დოკუმენტაციის გადამოწმების შემდეგ, გუშაგი იტოვებს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს).

გამშვებ დერეფანში პირების გაშვებისას გუშაგი იცავს შემდეგ თანამიმდევრობას:

- ▶ ადებს დერეფანში შემავალ პირველ კარს, შეუშვებს გამშვებ დერეფანში პირს და კეტავს კარს;
- ▶ ამონშებს საშვს და პირადობის დამადასტურებელ საბუთს, რწმუნდება მათ სისწორესა და კუთვნილებაში წარმდგენი პირის მიმართ;
- ▶ სთავაზობს პირს, საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნივთების/დოკუმენტაციის გარდა, სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე დატოვოს ჩანთა, პორტფელი, ფული, მობილური ტელეფონი, და სხვა ნივთები, ადებს მეორე კარს, ატარებს მოსულ პირს და კეტავს კარს.

ყურადღება

დაუშვებელია გამშვებ დერეფანში სამ პირზე მეტის ყოფნა, დაწესებულებიდან გამომსვლელი და დაწესებულებაში შემსვლელი პირების ერთად ყოფნა, აგრეთვე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და სხვა პირების ერთდროული გაშვება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბრალდებულს/ მსჯავრდებულს ახლავს დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

პენიტენციური დაწესებულების დატოვებისას გუშაგი საარჩევნო კომისიის წევრს, დამკვირვებელს, მედიის წარმომადგენელს, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს და სხვა უფლებამოსილ პირს უბრუნებს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს (იმ შემთხვევაში, თუ პირი დაწესებულებაში იმყოფება ერთჯერადი საშვით, საშვი გადაეცემა გუშაგს).

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირს, რომელიც საკონტროლო-გამშვებ პუნქტში გადის, განზრახული აქვს შეიტანოს დაწესებულებაში აკრძალული ნივთები, ნივთიერებები და საკვები პროდუქტები

ან გაიტანოს დაწესებულებიდან არაკანონიერად შექმნილი მატერიალური ფასეულობები, დაწესებულების წარმომადგენელი ამ პირს განუცხადებს, რომ მას შესვლის/გამოსვლის უფლება მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი თანხმობას განაცხადებს მისი კუთვნილი ნივთებისა და ტანსაცმლის შემოწმებაზე.

შემოწმების შედეგად გადამალული საგნების, ნაკეთობების ან ნივთიერებების აღმოჩენისას პენიტენციური დაწესებულების ოპერატიული მორიგისა და უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლის მიერ პირი იქნება დროებით შეჩერებული, რაზეც დაუყოვნებლივ ეცნობება პენიტენციურ დეპარტამენტს და შესაბამის საგამოძიებო ორგანოს საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად.

საარჩევნო დოკუმენტაციის მიღება და კენჭისყრის შენიშვნები

პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისია, კენჭისყრის მზადებისა და ჩატარების მიზნით, საოლქო საარჩევნო კომისიიდან იღებს:

საარჩევნო დოკუმენტაციას

- ▶ ამომრჩეველთა სპეციალურ სიას (კედლის და სამაგიდო);
- ▶ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის (კედლის და სამაგიდო) ბლანკებს;
- ▶ ამომრჩეველთა ბარათებს;
- ▶ საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტებს;
- ▶ სპეციალურ კონვერტებს;
- ▶ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნს (ე. წ. ზონარგაყრილი წიგნი);
- ▶ საკონტროლო ფურცლებს;
- ▶ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს და შესწორების ოქმების ფორმებს;

- ▶ კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმებს.

საარჩევნო ინვენტარს:

- ▶ ძირითად და გადასატან გამჭვირვალე საარჩევნო ყუთებს;
- ▶ საარჩევნო ყუთების ლუქებს;
- ▶ კენჭისყრის კაბინებს;
- ▶ საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედს;
- ▶ რეგისტრატორების სპეციალურ ბეჭდებს;
- ▶ სამელნე ბალიშებს.

სხვა საარჩევნო მასალას:

- ▶ კანდიდატთა სიებს;
- ▶ პარტიულ სიებს;
- ▶ საარჩევნო ბიულეტენის შევსების ინსტრუქციას;
- ▶ ამონარიდს კანონიდან, თუ რა შემთხვევაშია საარჩევნო ბიულეტენი ბათილი;
- ▶ საარჩევნო დოკუმენტაციის შესაფუთ კონვერტებს.

კენჭისყრის პროცედურების ჩასატარებლად საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ვალდებული არიან კანონით დადგენილი წესების დაცვით, კენჭისყრამდე არა უგვიანეს ერთი დღისა, პენიტენციურ დაწესებულებაში მოაწყონ კენჭისყრის შენობა.

საუბნო საარჩევნო კომისიამ უნდა მოაწყოს (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 58.4.ა-გ):

- ▶ ამომრჩეველთა სარეგისტრაციო მაგიდები;
- ▶ ყოველი 500 ამომრჩეველისთვის არანაკლებ ერთი კენჭისყრის კაბინა, სადაც უნდა იყოს ერთი კალმისტარი;

- ▶ მაგიდა სპეციალური კონვერტებისთვის (უნდა იდგეს საარჩევნო ყუთთან ახლოს);
- ▶ აწყობილი, დაულუქავი საარჩევნო ყუთები.

კენჭისყრის შენობაში გამჭვირვალე საარჩევნო ყუთი თვალსაჩინო ადგილას ისე უნდა იყოს მოთავსებული, რომ ამომრჩეველი დაუბრკოლებლად მივიდეს მასთან და სპეციალური კონვერტის ჩაგდების შემდეგ დაუყოვნებლივ დატოვოს საარჩევნო უბანი.

კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული უნდა იყოს *(საარჩევნო კოდექსი – მუხლი 58.4.დ; 58.5):*

- ▶ ამომრჩეველთა სპეციალური სიის საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია (კედლის სია);
- ▶ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია (კედლის სია);
- ▶ პარტიული სიები;
- ▶ კანდიდატთა სიები;
- ▶ ცესკოს მიერ დადგენილი საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი;
- ▶ ამონარიდი კანონიდან, თუ რა შემთხვევაშია საარჩევნო ბიულეტენი ბათილი;
- ▶ კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმები.

ყურადღება

თუ საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობს არჩევნებში, განცხადება ამის შესახებ უნდა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას კენჭისყრის შენობაში და ფარული კენჭისყრის კაბინებში.

თავი III

საარჩევნო უბნის ბაზსნა, კენჭისყრის
დაწყებამდე ჩასატარებელი
პროცედურები

საარჩევნო უბნის ბაზსნა

საარჩევნო უბანი იხსნება კენჭისყრის დღის 7 საათზე.

ყურადღება

თუ ამ დროისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა შვიდზე ნაკლები აღმოჩნდა, აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიეწოდება საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც დაუყოვნებლივ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ვალდებული არიან, კენჭისყრის დღის განმავლობაში ატარონ მათთვის განკუთვნილი სპეციალური ფორმები. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა ზემდგომი საარჩევნო კომისიის მიერ განხილული იქნება, როგორც დისციპლინური გადაცდომა, რაც დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია.

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვთ (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 8.16; მუხლი 39.3,6; მუხლი 42.5; მუხლი 44.5):

- ▶ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს;
- ▶ ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრებს/წარმომადგენლებს;
- ▶ შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელს (ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტის არაუმეტეს 1 წარმომადგენელს);

- ▶ რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლებს (ერთი და იმავე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის არაუმეტეს 1 დამკვირვებელს);
- ▶ რეგისტრირებული საერთაშორისო ორგანიზაციის დამკვირვებლებს (ერთი და იმავე საერთაშორისო ორგანიზაციის არაუმეტეს 2 დამკვირვებელს (მათ შესაძლოა ახლდეთ თარჯიმანი);
- ▶ მედიის აკრედიტებულ წარმომადგენლებს (ერთი და იმავე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების არაუმეტეს 3 წარმომადგენელს).

ყურადღება

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირს აუცილებლად უნდა ეკეთოს მისი ვინაობისა და სტატუსის დამადასტურებელი სამკერდე ნიშანი (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 8.17).

დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალების წარმომადგენლის უფლებრივი მდგომარეობა

(საარჩევნო კოდექსი – მუხლი 41)

დამკვირვებელს, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს **უფლება აქვს:**

- ▶ კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან;
- ▶ კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს შეენაცვლოს მისი წარმდგენი ორგანიზაციის სხვა რეგისტრირებულ წარმომადგენელს.

დამკვირვებელს, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს, მასობრივი ინფორმაციის საშუალების წარმომადგენელს **უფლება არ აქვს:**

- ▶ ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში;
- ▶ გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენაზე;
- ▶ აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ;

ყურადღება

დაუშვებელია სპეციალური ნებართვის გარეშე აუდიო-ვიდეო და ფიქსაციის სხვა სახის ტექნიკის შეტანა. სპეციალურ ნებართვას გასცემს დეპარტამენტის დირექტორი მინისტრთან წინასწარ შეთანხმებით. ბრალდებულის/ მსჯავდრებულის ფოტო, ვიდეოგადაღება ან მასთან ინტერვიუს ჩაწერა შეიძლება მხოლოდ მისი წერილობითი თანხმობით (საქართველოს პატიმრობის კოდექსი – მუხლი 60).

საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები

საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე პროცედურები ტარდება შემდეგი თანამიმდევრობით (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 61-62):

- I საარჩევნო უბნის გახსნისთანავე იხსნება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 61.2.ა).

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო უბნის გახსნისთანავე კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნს გადასცემს კომისიის მდივანს. კომისიის მდივანი ვალდებულია კომისიის თავმჯდომარესთან ერთად აღრიცხოს კენჭისყრის დღის ყველა საარჩევნო პროცედურა და მიუთითოს მათი ჩატარების დრო (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 62.3).

კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის პირველ და მეორე გვერდებზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – მე-10 და მომდევნო გვერდებზეც კომისიის მდივანს შეაქვს კენჭისყრის შენობაში მყოფი კომისიის ყველა წევრის სახელი და გვარი (მათი წარმდგენი სუბიექტების მითითებით) და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა სხვა პირის მონაცემები (სახელი, გვარი, წარმდგენი ორგანიზაცია ან საარჩევნო სუბიექტი) და ხელმოწერით ამონმებიანებს მათ.



II

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამონმებს დალუქული პაკეტის მთლიანობას, რომელშიც მოთავსებულია კომისიის სპეციალური ბეჭედი, და ხსნის მას (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 61.2.ბ).



III

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ატარებს წილისყრას კომისიის წევრთა შორის ფუნქციების გასანაწილებლად.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შორის გასანაწილებელი ფუნქციებია:

- ▶ ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი;
- ▶ ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრი (არანაკლებ ერთი რეგისტრატორი ყოველ 300 ამომრჩეველზე);
- ▶ საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრი;
- ▶ გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები კომისიის 2 წევრი (აუცილებლობის შემთხვევაში).



IV

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო უბანზე მყოფი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისაგან წილისყრით გამოავლენს არაუმეტეს 2 წარმომადგენელს, რომლებიც დააკვირდებიან საჩივრების რეგისტრაციის პროცესს (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 61.5).

ყურადღება

წილისყრაში არ მონაწილეობენ კომისიის მდივნად არჩეული კომისიის წევრის დამნიშვნელი საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლები (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 61.5).

V

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს ამომრჩეველთა რაოდენობას ამომრჩეველთა სიების მიხედვით, აგრეთვე მიღებული საარჩევნო ბიულეტენების და სპეციალური კონვერტების რაოდენობებს (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 61.6.ა-ბ).

VI

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამოწმებს და ინდივიდუალური ნომრის მქონე ლუქით ლუქავს ძირითად და გადასატან საარჩევნო ყუთებს (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 61.6.გ).



VII საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებს გადასცემს მასალებს.

VIII ივსება საკონტროლო ფურცელი (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 61.10).

კენჭისყრის დაწყებამდე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი ავსებენ საკონტროლო ფურცლებს (გარდა პირველი ამომრჩევლის შესახებ მონაცემებისა). საკონტროლო ფურცელს ხელს აწერს საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა დამსწრე წევრი.

პირველი ამომრჩეველი მოსვლისას გადის რეგისტრაციას და იღებს საარჩევნო ბიულეტენს. კომისიის მდივანს მის შესახებ მონაცემები შეაქვს საკონტროლო ფურცელში, რომელსაც ხელს აწერს ამომრჩეველი. საკონტროლო ფურცელზე მიეთითება ფურცლების საარჩევნო ყუთებში ჩაგდების ზუსტი დრო.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საკონტროლო ფურცლის ერთ ეგზემპლარს აგდებს ძირითად საარჩევნო ყუთში, მეორე ეგზემპლარს – გადასატან საარჩევნო ყუთში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო მესამე ეგზემპლარს ინახავს საარჩევნო ყუთებში არსებულ საკონტროლო ფურცლებთან შემდგომი შედარების მიზნით.

საკონტროლო ფურცლის მონაცემები შეიტანება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.



თავი IV

კანტონსურის პროცესი

კენჭისყრის ჩატარება

(საარჩევნო კოდექსი – მუხლი 60; მუხლი 64; მუხლი 65)

კენჭისყრა ტარდება კენჭისყრის დღის (21 ოქტომბერი) 08:00 საათიდან 20:00 საათამდე. ხმის მიცემის პროცედურა ტარდება შემდეგი წესისა და თანამიმდევრობის დაცვით:

I

კენჭისყრის შენობაში შესვლისას ამომრჩეველი ამორჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელთან გადის მარკირების შემოწმების პროცედურას.

ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი:

- ▶ არეგულირებს საარჩევნო უბანში შემოსული ამომრჩევლების ნაკადს;
- ▶ სთხოვს ამომრჩეველს წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პასპორტი;
- ▶ ამოწმებს, თუ რამდენი ამომრჩეველი დგას ამომრჩევლისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან. თუ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი დგას, დროებით აყოვნებს კენჭისყრის ოთახში მორიგი ამომრჩევლის შესვლას;
- ▶ მიუთითებს ამომრჩეველს, მივიდეს იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის პირველი ასო.

II

ამომრჩეველი ამომრჩეველთა რეგისტრატორთან გადის რეგისტრაციას.

ამომრჩეველთა რეგისტრატორი:

- ▶ სთხოვს ამომრჩეველს, წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი;
- ▶ ამოწმებს წარდგენილ დოკუმენტში/დოკუმენტებში შეტანილი ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემებისა და ამომრჩეველთა სიაში არსებული მონაცემების შესაბამისობას. ამომრჩეველი კენჭისყრაში მონაწილეობს, თუ ამომრჩეველთა შესაბამის სიაში საქართველოს მოქალაქის პირად ნომერთან, სქესთან და ფოტოსურათთან ერთად, სრულად ემთხვევა ოთხი მონაცემიდან (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით) 3 მაინც.



ყურადღება

- ▶ თუ ამომრჩევლის შესახებ მონაცემების შემოწმებისას დადასტურდა, რომ წარდგენილ დოკუმენტში/დოკუმენტებში შეტანილი ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემები (გარდა ფოტოსურათისა) შეესაბამება ამომრჩეველთა სიაში არსებულ მონაცემებს, მაგრამ ამომრჩე-ველთა რეგისტრატორმა ამ ამომრჩევლის სახე და წარდგენილ დოკუმენტში/დოკუმენტებში ან ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათი ერთმანეთთან შეუსაბამოდ მიიჩნია, იგი მიმართავს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც ქვემოთ განსაზღვრული შესაბამისი პროცედურის შესრულების შემდეგ ამომრჩეველს მისცემს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას.
- ▶ თუ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დაადასტურებს აღნიშნულ შეუსაბამობას, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში საამისოდ განკუთვნილ გვერდზე აკეთებს ჩანაწერს, რომელშიც აღნიშნავს შეუსაბამობის ფაქტს, ამომრჩევლის სახელს, გვარს და ამომრჩეველთა სიაში მის რიგით ნომერს. ეს ჩანაწერი დასტურდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებით.
- ▶ თუ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არ დაადასტურებს აღნიშნულ შეუსაბამობას, ამომრჩეველთა რეგისტრატორს უფლება აქვს, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში საამისოდ განკუთვნილ გვერდზე ჩაწეროს თავისი განსაკუთრებული აზრი.
- ▶ ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნს დაურთავს ამომრჩევლის მიერ წარდგენილი დოკუმენტის ფოტოასლს, რომელსაც დაამოწმებს ხელმოწერით (*საარჩევნო კოდექსი – მუხლი 65.2.ბ; მუხლი 65.2¹*).

- ▶ ამომრჩეველთა სიაში ამომრჩევლის შესახებ მონაცემების შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში ხელს აწერს ამომრჩეველთა ერთიანი სიის სათანადო გრაფაში, ხოლო შემდეგ ამომრჩეველი ხელმოწერით ადასტურებს საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების მიღებას;



- ▶ საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების გაცემისას ხელს აწერს მის უკანა გვერდზე სათანადო გრაფაში და ამოწმებს რეგისტრატორის ბეჭდით.

ამომრჩეველი შედის კენჭისყრის კაბინაში და ავსებს საარჩევნო ბიულეტენს/ბიულეტენებს. საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების შევსებისას აკრძალულია სხვა პირის დასწრება.


ყურადღება

- ▶ თუ ამომრჩეველს არ შეუძლია საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსება, მას უფლება აქვს, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა (*საარჩევნო კოდექსი – მუხლი 65.3*).
- ▶ თუ ამომრჩეველს ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი ან სპეციალური კონვერტი, მათ ეს უნდა აცნობონ კომისიის თავმჯდომარეს. კომისიის თავმჯდომარის დავალებით ამომრჩეველთა რეგისტრატორი ვალდებულია ამომრჩეველს შეუცვალოს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი/სპეციალური კონვერტი ახლით. კომისიის თავმჯდომარე გაფუჭებულ ბიულეტენს/სპეციალურ კონვერტს ამომრჩეველის თანდასწრებით ჩამოაჭრის კუთხეს, დააწერს „გაფუჭებულია“ და ხელს მოაწერს. კომისიის თავმჯდომარე გაფუჭებულ ბიულეტენს ცალკე ინახავს (*საარჩევნო კოდექსი – მუხლი 65.4*).

ამომრჩეველი მიდის განცალკევებით მდგარ მაგიდასთან, საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველის მითითებით დამოუკიდებლად იღებს სპეციალურ კონვერტს და ათავსებს მასში საარჩევნო ბიულეტენს/ბიულეტენებს.

საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი სპეციალური კონვერტი აქვს, ხსნის საარჩევნო ყუთის ჭრილს და უთითებს ამომრჩეველს, სპეციალური კონვერტი მოათავსოს საარჩევნო ყუთში.

V ამომრჩეველი სპეციალურ კონვერტს აგდებს საარჩევნო ყუთში.



VI სპეციალური კონვერტის საარჩევნო ყუთში ჩაგდების შემდეგ ამომრჩეველი ტოვებს საარჩევნო უბანს.

ხმის მიცემის უფლების მქონე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საარჩევნო უბანზე გადაადგილების წესი

პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით ხმის მიცემის უფლების მქონე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საარჩევნო უბანზე გადაადგილება ხორციელდება მწყობრად, დაწესებულების მოსამსახურის თანხლებით (გადაადგილების დროს დაწესებულების შესაბამის თანამშრომელს უფლება აქვს უსაფრთხოების დაცვის მიზნით მოსთხოვოს მას ხელების ზურგს უკან დალაგება). ბრალდებულს/მსჯავრდებულს ევალება დაიცვას წესრიგი და დაემორჩილოს პენიტენციური დაწესებულების მოსამსახურის კანონიერ მოთხოვნებს.

კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგის დაცვა

(საარჩევნო კოდექსი – მუხლი 59)

კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვისთვის პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვის მიზნით მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა საარჩევნო კომისიის წევრებისათვის, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირისა და ამომრჩევლისათვის.

საუბნო საარჩევნო კომისიას უფლება აქვს, კომისიის მუშაობისთვის ხელის შეშლისა და წესრიგის დარღვევის შემთხვევაში წესრიგის დამრღვევი გააძევოს იმ შენობიდან, სადაც კომისია განთავსებული დამრღვევის გაძევების შემთხვევაში დგება შესაბამისი აქტი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

კენჭისყრის დღეს პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე მყოფი პირების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილება.

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემა

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა იწყება კენჭისყრის დღის 09:00 საათიდან და სრულდება 19:00 საათზე. კენჭისყრის დასრულების შემდეგ დაუყოვნებლივ ილუქება საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტის ჩასაგდება ჭრილი. გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანზე უნდა დაბრუნდეს არაუგვიანეს 20 საათისა (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 66.1).

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს, სურვილისამებრ, უფლება აქვთ, დააკვირდნენ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის პროცედურას დადგენილი წესით.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლებ კომისიის წევრებს გადასცემს (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 66.3):

- ▶ დალუქულ გადასატან საარჩევნო ყუთს, რომელშიც მოთავსებულია საკონტროლო ფურცელი;
- ▶ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიას;
- ▶ სპეციალურ კონვერტებს;
- ▶ ამომრჩეველთა რეგისტრატორის მიერ ხელმოწერითა და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებულ საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენებს;
- ▶ ყუთის ჭრილის დასალუქ ლუქს.

გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის პროცედურა მიმდინარეობს ზოგადი წესის დაცვით.

საარჩევნო უბნის დახურვა

კენჭისყრის პროცედურა სრულდება და კენჭისყრის შენობა იკეტება 20:00 საათზე. პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია კენჭისყრა დამთავრებულად გამოაცხადოს 20 საათამდე ნებისმიერ დროს, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა სიაში შეყვანილმა ყველა ამომრჩეველმა.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ, საუბნო საარჩევნო კომისია ლუქავს საარჩევნო ყუთის ჭრილს, ამომრჩეველთა სიას, გამოუყენებელ და გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენებს. საარჩევნო უბნის საარჩევნო ყუთი და საარჩევნო დოკუმენტაცია საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირების მიერ დაუყოვნებლივ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრულ საარჩევნო უბანს (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 67.6).

This image shows a blank sheet of white paper with horizontal ruling lines. The lines are evenly spaced and extend across the width of the page. There are no margins, text, or other markings on the paper.

შენიშვნებისთვის

This image shows a blank sheet of white paper with horizontal ruling lines. The lines are evenly spaced and run across the width of the page. There are no margins, text, or other markings on the paper.